ბრძანება:**ბ28.28211309**
თარიღი:**10/05/2021**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის; 85-ე მუხლის შესაბამისად და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ავთანდილ ურიადმყოფელის 2021 წლის 27 აპრილის N მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. შეიქმნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **ავთანდილ ურიადმყოფელი- საბჭოს თავმჯდომარე;**

ბ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბუღალტრული აღრიცხვისა და დაგეგმარების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- **დავით ლილუაშვილი- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**

გ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-სახაზინო განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- **მარინა გაბეხაძე- საბჭოს მდივანი;**

დ) მერის თანაშემწე-**ივანე მარუაშვილი - საბჭოს წევრი;**

ე) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **ამირან სოფრომაძე - საბჭოს წევრი;**

ვ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულებელი **აკაკი ქურციკიძე** - **საბჭოს წევრი;**

ზ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების მეორადი სტუქტურული ერთეულის ხელძღვანელი - **ზურაბ გოგნაძე - საბჭოს წევრი;**

თ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელი - **გურამ თურქაძე- საბჭოს წევრი;**

ი) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **ნინო დოლაკიძე- საბჭოს წევრი;**

კ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდული სამსახურის პირველი კატეგორიის პირველი სპეციალისტი **-მარეხი ლილუაშვილი - საბჭოს წევრი;**

ლ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე- **თემურ ქოჩიაშვილი- საბჭოს წევრი;**

მ) სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი გაზეთ „თერჯოლა“ს რედაქტორი **-დავით კლდიაშვილი- საბჭოს წევრი;**

ნ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი (PR) **-მარიკა ქველიძე- საბჭოს წევრი;**

ო) მერის რეფერენტი-**მარიამი სოფრომაძე - საბჭოს წევრი;**

პ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციული ერთეულის შესაბამისად - **საბჭოს წევრი;**

მუხლი 2. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის **სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი დანართი N1- ის შესაბამისად.**

მუხლი 3. ბრძანება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრებს;

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ლაშა გოგიაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N1

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი

„სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს“ მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას ჩართულ იქნეს სამოქალაქო ინიციატივები, მომავალი გეგმების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოებრივი ინტერესები, მიეცეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს, საინიციატივო ჯგუფებსა და იურიდიულ პირებს შესაძლებლობა, თვითონ შეიმუშაონ და განსაზღვრონ კონკრეტულ დასახლებაში, უბანში არსებული პრიორიტეტული პროექტები.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 85-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად უფლებამოსილია, მოქალაქეთა მონაწილეობის ამ კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2. „სამოქალაქო ბიუჯეტი“ დემოკრატიის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია - საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი მეშვეობით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიმართულებების განსაზღვრა.

3. „სამოქალაქო ბიუჯეტი“ არის პროცესი, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში. თავად გადაწყვიტონ, თუ რაში დაიხარჯება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები.

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის.

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული ფულადი სახსრები საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს თავად დაგეგმონ და განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები, ასევე თვალყური ადევნონ მათ განვითარებას.

6. . საბჭოს შემადგენლობაში შედიან თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელე/ები, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელი/ები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი/ები და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი/ები.

7. საბჭოს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 8 წევრი.

8. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება).

მუხლი 2. საბჭოს უფლებამოსილება

1. საბჭო უფლებამოსილია, „სამოქალაქო ბიუჯეტის" მომზადების ეტაპზე, განიხილოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული საპროექტო განცხადებები (შემდგომში „პროექტი"), შეამოწმოს განცხადებების სისწორე შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განახორციელოს წარმოდგენილი პროექტი), ტექნიკური ასპექტები (რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება), ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი პროექტის სავარაუდო ღირებულების შეფასება), პროექტის განხორციელების ვადები, ემსახურება თუ არა პროექტის განხორციელება საზოგადოებრივ ინტერესს; საჭიროების შემთხვევაში პროექტის განხილვისას მოიწვიოს პროექტის ავტორი.

2. საბჭო უფლებამოსილია პროექტის მიმდინარეობისას შეამოწმოს მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი ინიციატივები კონკრეტულ დასახლებაში წარმოდგენილი პროექტის განხორციელების თაობაზე, ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

3. საბჭო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრული თანხობრივი ოდენობის გათვალისწინებით, შეამოწმოს დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შესაძლებლობა და მერს წარუდგინოს მოსაზრება, შესაბამისი რეკომენდაციის სახით, პროექტის რეალიზების თაობაზე.

4. საპროექტო წინადადებების წარდგენა შესაძლებელია საბიუჯეტო წლის 1 სექტემბრამდე.

5. საბჭო უფლებამოსილია, გამოავლინოს პროექტი არაუგვიანეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის 1 ოქტომბრამდე (ვერიფიცირებული პროექტის განხორციელება უნდა მოხდეს მომდევნო წლის ბიუჯეტით).

მუხლი 3. საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობის წესი

1. საბჭო შედგება საბჭოს წევრთაგან მათ შორისაა საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

2. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია:

ა) უხელმძღვანელოს საბჭოს მუშაობას, მოიწვიოს და გაუძღვეს საბჭოს სხდომებს;

ბ) კოორდინაცია გაუწიოს საბჭოს საქმიანობას;

გ) ხელი მოაწეროს საბჭოს სხდომის ოქმებს;

დ) დაამტკიცოს საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა და დღის წესრიგი, აკონტროლოს მისი სამუშაო გეგმისა და მიღებული გადაწყვეტილების შესრულება;

ე) შეასრულოს საბჭოს წარმომადგენლობითი ფუნქცია;

ვ) არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე მოიწვიოს საბჭოს სხდომა და საბჭოს სხდომამდე არანაკლებ 2 დღით ადრე აცნობოს აღნიშნულის შესახებ საბჭოს წევრებს და დაინტერესებულ სუბიექტებს;

ზ) სხდომა გამოაცხადოს გახსნილად, წარადგინოს დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები და სხდომა გამოაცხადოს დახურულად;

თ) საბჭოს თავმჯდომარე, ისევე როგორც საბჭოს სხვა წევრები, სარგებლობს კონკრეტული საკითხის განხილვისას ერთი ხმის უფლებით;

ი) საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მიღების მიზნით მოიწვიოს სპეციალისტი, რომელმაც შეიძლება ისარგებლოს სათათბირო ხმის უფლებით.

3. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

4. საბჭოს მდივანი:

ა) ადგენს დღის წესრიგს და დასამტკიცებლად წარუდგენს თავმჯდომარეს;

ბ) ადგენს საბჭოს სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრები და ასევე ის პირები, რომლებიც ამ სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდნენ.

სხდომის ოქმს არაუგვიანეს ხუთი დღის ვადაში წარუდგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

5. საბჭოს წევრი:

ა) მონაწილეობას იღებს საბჭოს სხდომებში;

ბ) აფიქსირებს სრულყოფილ პოზიციას დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითოეულ საკითხზე და სარგებლობს ერთი ხმის უფლებით;

გ) ხელს აწერს საბჭოს სხდომის ოქმს.

6. მოწვეულ სპეციალისტზე ვრცელდება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. საბჭოს წევრებს უნდა მიეცეთ აცილება საკითხის განხილვაში მონაწილეობისაგან, თუ ცნობილი გახდა ან დადასტურდება მათი პირდაპირი ან ირიბი, კერძო ან უწყებრივი დაინტერესება საბჭოში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

8. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) უხეშად არღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

გ) გამოიჩინა აშკარა მიკერძოებული დამოკიდებულება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;

დ) კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გადაწყვეტილება, რომელიც შეუძლებელს ხდის საბჭოს წევრის მხრიდან მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

ე) სასამართლომ აღიარა მხარდაჭერის მიმღებად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოცხადდა გარდაცვლილად;]

ვ) გარდაიცვალა;

ზ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა გარემოებების არსებობისას, რაც შეუძლებელს ხდის საბჭოში წევრის უფლებამოსილების განხორციელებას.

მუხლი 4. საბჭოს საქმიანობის საფუძვლები

1. მოქალაქეთა ინიციატივები განხილვის მიზნით წარედგინება საბჭოს. საბჭო თავის სხდომებზე შემოსული საპროექტო განაცხადებს განიხილავს, შეისწავლის და სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს. მიღებულ გადაწყვეტილებებს წარუდგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს წინადადებების ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების მიზნით.

2. მოქალაქეთა ინიციატივები (განაცხადები) რეგისტრირდება საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (info@terjola.gov.ge; terjola.municipality@gmail.com).

მუხლი 5. საბჭოს მუშაობის წესი

1. საბჭო იკრიბება არსებული საჭიროებისას, მაგრამ არანაკლებ ერთხელ, კალენდარული წლის განმავლობაში საბჭოს თავმჯდომარის ან/და საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნის შემთხვევაში.

2. საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი შედგება მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი საპროექტო განცხადებების შესაბამისად.

მუხლი 6. ანგარიშვალდებულება

საბჭო ანგარიშვალდებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.